AGL

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ასლი: შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევში მცხოვრებ მოქალაქეებს

ბეგლარ ზოიძეს და მამუკა ზოიძეს

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„09“ 06 2023წ.
№ 5295

09.06.2023 81/02-23

თქვენს 2023 წლის 10 მაისის N21/3436 წერილზე, „სხალთა ჰესის“ ქვესადგურის „შუახევი ჰესის“ ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით განსაზღვრული N116 ანძის ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებთ, შუახევის მუნიციპალიტეტში, დაბა შუახევში მცხოვრები მოქალაქეების მამუკა და ბეგლარ ზოიძეების განცხადებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს.

„სხალთა ჰესის“ ქვესადგურის „შუახევი ჰესის“ ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება განპირობებულია გადაუდებელი აუცილებლობით, რაც გამოწვეულია 220 კვ ძაბვის ბათუმი-ახალციხეს ხაზთან მიმართებაში ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დარღვევასთან.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მიხედვით, საჭირო გახდა ელექტროგადამცემი ხაზის თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული წერტილიდან 6 მ-ით გადაადგილება უახლოესი საცხოვრებელი სახლის, კერძოდ: მოქალაქეების მამუკა და ბეგლარ ზოიძეების საცხოვრებელი სახლის მიმართულებით გადაადგილება. პროექტის მიხედვით ელექტროგადამცემი ხაზის განაპირა სადენიდან, საცხოვრებელ სახლამდე დაცილება არ იქნება 25 მ-ზე ნაკლები.

„ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“-ს დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილების მიხედვით (მუხლი 3, პუნქტი 1), 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონა განსაზღვრულია განაპირა სადენიდან 15 მ-ის დაცილებით. აღსანიშნავია, რომ მთავრობის N366 დადგენლებით განსაზღვრული დაცვის ზონების სიდიდეების სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (ს.კ 404401438)
იურ. მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ., N129, ბლოკი „ბ“, სართული 3, კომერციული ფართი N8
ელ ფოსტა: info@agl.com.ge
ვებ-გვერდი: www.agl.com.ge

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეების მამუკა და ბეგლარ ზოიძეების საცხოვრებელი სახლთან მიმართებაში, სრულად დაცულია საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დაცილების უსაფრთხოების მანძილები და შესაბამისად ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება აღნიშნული მოქალაქეების მიწის ნაკვეთთან ელექტროგადამცემი ხაზის სიახლოვეს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნორმირებას ექვემდებარება მხოლოდ ადამიანთა მუდმივი სამყოფელი შენობა ნაგებობები და ტერიტორიები. ის ტერიტორიები სადაც ადამიანებს არ იმყოფებიან ხანგრძლივი დროით, მაგალითად: სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ნორმირებას არ ექვემდებარება, რადგან ადამიანი ჯანმრთელობაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში შეტანილი ცვლილებები, მათ შორის N116 ანძის ადგილმდებარეობის ცვლილება, მომზადებულია მოქალაქეების ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას საფრთხე არ ემუქრება.

წერილს თან ერთვის: N116 ანძის და უახლოესი საცხოვრებელი სახლის ურთიერთ განლაგების სიტუაციური სქემა.

პატივისცემით,

სატიშ რამეშ ბატი

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია" -ს
აღმასრულებელ დირექტორი

Adjaristsqali Georgia LLC
Commercial space N8, Floor 3, Block "B", Bagrationi Str 129, Batumi 6010, Georgia
Email: info@agl.com.ge
WWW.agl.com.ge